# არქიტექტურული სტილი
# როგორც ფსიქო-ემოციური ფენომენი

სტუდენტი - ანა ბიბილაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
მაგისტრატურა, I კურსი
ხელმძღვანელი - ვახტანგ დავითაია
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სრული პროფესორი

არქიტექტურა იწერს კაცობრიობის დიდ იდეებს.

თითოეული ადამიანის ფიქრს აქვს თავისი გვერდი

ამ უზარმაზარ წიგნში (c) ვიქტორ ჰიუგო

არქიტექტურას მძლავრი ფსიქო-ემოციური შესაძლებლობები გააჩნია. უნარი შესწევს, თავისი წესებით აცხოვროს საზოგადოება რომელიც თვითონ ქმნის მას და რომელიც ამ სივრცის ორგანული ნაწილი ხდება. მაინც რა გავლენას ახდენს არქიტექტურა ადამიანზე? რამდენად იზრდება არქიტექტურის როლი? არის თუ არა არქიტექტურა ხელისუფლების ხელში მოხვედრილი ადამიანების მართვის იარაღი? რამდენად შეიძლება შეცვალოს არქიტექტურულმა გარემომ ჩვენი ცნობიერება და რამდენად ვკარგავთ საკუთარ თავს ამ გარემოს გავლენით?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უამრავი სფეროს ცოდნაა საჭირო. თუმცა პირველ რიგში აუცილებელია, შევაფასოთ არქიტექტურა როგორც ცოცხალი ორგანიზმი.

არქიტექტურა არ არის მხოლოდ სივრცის ორგანიზება, არქიტექტურა არის ემოციების ფორმად გარდაქმნა და პირიქით - ფორმის ემოციებად. არქიტექტურით შესაძლებელია ყველა იმ ემოციის გადმოცემა, რომელიც ადამიანს გააჩნია.

არქიტექტურას შეუძლია ერთდროულად იყოს მელოდიურიც, მიმზიდველიც, ჰაეროვანიც, დახვეწილიც და ამავდროულად ყვებოდეს ისტორიას, გიამბოს კულტურაზე, ადამიანებზე, ცხოვრებაზე. არქიტექტურა აერთიანებ ხელოვნებას, ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას, ისტორიასა და მეცნიერებას.

არქიტექტურა კაცობრიობის ისტორიის, აზროვნებისა და კულტურის სარკეა, რომელიც მეტყველებს, მეტყველებს ყველა ენაზე, ყველა ადამიანისთვის ვინც მას მოუსმენს. არქიტექტურა წიგნია, რომელსაც არ სჭირდება თარგმნა, მელოდიაა, რომელიც უნდა იგრძნო.

ყოველი შენობა ადამიანს გავს, ისტორია, ფუნქცია და ხასიათი გააჩნია. შენობა შეიძლება იყოს სევდიანი ან მხიარული, შეიძლება იყოს პესიმისტი ან ოპტიმისტი, თავმდაბალი ან ამპარტავანი, მერყევი ან მიზანდასახული, პასიური ან აქტიური, მოქნილი ან ტლანქი, ერთი სიტყვით გააჩნდეს ნებისმიერი ადამიანური, თვისება რომელიც მსგავსად ადამიანისა მის ინდივიდუალურობას განსაზღვრავს.

შენობების ერთობლიობა ქმნის არქიტექტურულ გარემოს, თითქოს ერთგვარ საზოგადოებას, რომელსაც თავისი მიზნები, მოთხოვნები და შესაძლებლობები გააჩნია. გარემო თავის მხრივ ქმნის ფსიქო-ემოციურ ფონს. ემოცია, ეს არის ადამიანის თანდაყოლილი ინსტიქტი, რომელიც შეიძლება იყოს განსხვავებული სხვადასხვა ადამიანისთვის ერთი და იგივე გარე ფაქტორის მიმართ, შესაძლებელია იყოს ასევე განსხვავებული მისი გამოვლენის ხერხების, თუმცა თვითონ ემოციას, როგორც ფსიქოლოგიურ ფენომენს, ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება გააჩნია, ის გავრცელებადი და გადამდებია.

ეს ფაქტორი კოლოსალურ როლს თამაშობს საზოგადოების, როგორც სივრცის ნაწილის ცხოვრებაში. არიტქტურული გარემო, როგორც ემოციების მთელი კრებული, პირდაპირაა მიმართული საზოგადოების ფსიქიკაზე, იქმნება არქიტექტურული გარემოს ადეკვატური ემოციური ფონი, ემოცია ქმნის აზრებს, აზრები კი იწვევს ქმედებებს.

„ადამიანის ყველაზე დიდი მტერი საკუთარი თავია“, ამ პრინციპით ადამიანის დამორჩილება შეიძლება ვერ მოახერხო ძალით და შიშით, მაგრამ თუ მას შეუქმნი გარემოს რომელიც მისი ფსიქიკის ერთადერთი საზრდოა, სივრცეს, რომელსაც ვერც გაექცევა და ვერც მიხვდება რომ უნდა გაექცეს, ისეთ გარემოს რომელიც უკარნახებს მორჩილებას, აგრესიას, ან სხვა ქმედებას, ის ვერც კი გააცნობიერებს რომ ეს მისი არჩევანი არ იყო, ის ქამელეონივით გახდება გარემოს მსგავსი და მოიქცევა გარემოს კარნახის მიხედვით.

არქიტექტურის, ასეთი განსაკუთრებული შესაძლებლობა, როგორც საზოგადოების მართვის ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღი, ყოველთვის კარგად ჰქონდა გააზრებული ყველა ხელისუფლების სათავეში მყოფ პირს, კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში, დასაბამიდან დღემდე. მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურაში, არქიტექტურის ისტორიის განვითარება, ამ ფაქტის ნათელი მაგალითია.

დროის, მმართველების, რელიგიური შეხედულებების, ესთეტიკური იდეალებისა დატექნიკური შესაძლებლობების შესაბამისად ყალიბდებოდა ის ფენომენი, რომელსაც „არქიტექტურულ სტილს“ ვუწოდებთ.

არქიტექტურული სტილის მრავალ მახასიათებელს შორის, ერთ-ერთი უმთავრესია თუ რა ემოციებს გადმოსცემს იგი. „სტილის“ მხოლოდ ამ ფენომენზე გვექნება საუბარი ამ მოხსენებაში.

## ძველი ეგვიპტური არქიტექტურა

ძველი ეგვიპტე ფარაონების მმართველობის პერიოდში სარგებლობდა  დიდი ეკონომიკური კეთილდღეობითა და სტაბილურობით. ფარაონებს ხელთ ჰქონდათ განსაკუთრებულად ხელსაყრელი პოზიცია საზოგადოებაში. საზოგადოებას სწამდა რომ ფარაონები იყვნენ  ღმერთების რჩეულები და მაკავშირებელი რგოლი ღმერთებსა და დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანებს შორის.

რელიგიური შეხედულებები იყო ფარაონების დესპოტური მმართველობის გონივრული გამართლება, თუმცა უზარმაზარი მასშტაბების პირამიდების  მშენებლობა, ხელსაყრელი იყო ამ რწმენისა და მმართველობის განსამტკიცებლად. პირამიდების მასშტაბი, სიმეტრია თავისთავად შიშსა და მორჩილებას უნერგავდა ეგვიპტის პირამიდების განსაცვიფრებელი მასშტაბები თავისთავად ამბობდა, რომ მისი შემქმნელი ძლევამოსილია. ეს უზარმაზარი მონუმენტური არქიტექტურა დღემდე თრგუნავს ადამიანს, დღემდე მის მხილველს აიძულებს თავი არარაობად და უსუსურად იგრძნოს.

სწრაფვა გეომეტრიულობისაკენ, ხაზობრიობისკენ, ღერძების სისტემა და სიმეტრია განაპირობებს პირამიდების შთამბეჭდავ მონუმენტურობას.

ეგვიპტის არქიტექტურას არაფერი გააჩნია დემოკრატიული,  პირიქით ხაზგასმულია ძალის დემონსტრირება.

ძველი ეგვიპტური არქიტექტურის  თითოეული შტრიხი გადმოგვცემს იმდროინდელი საზოგადოების რწმენის, შიშისა და მორჩილების განცდას.















## რომანული არქიტექტურა

რომანული არქიტექტურა კანონიზებური, სანდო, მყარი და მედიდურია. იგი შეიძლება შევადაროთ მეცენატს, რომელსაც გემოვნების უზარმაზარი გრძნობა გააჩნია. ის არ უყურებს ხელოვნებას ქედმაღლურად, ის ხელოვნებას თავისკენ იზიდავს.

რომანული არქიტექტურა გრძნობებს არ ეფუძნება, იგი ჭკუასა და გონებას ემორჩილება. იგი ნელ-ნელა იზრდებოდა და არ აშინებდა მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბები, ქმნიდა სიმეტრიას და ამ სიმეტრიში აქცევდა ტენდენციების მთელ ჯაჭვს. ის არ ზოგავდა თავს რომ შეექმნა გიგანტური სამყარო, უზარმაზარი სივრცეებით ფორმებითა და ქანდაკებებით, რომელიც გიკარგავს მასშტაბის შეგრძნებას.

რომანული არქიტექტურა გაჟღენთილია მძლავრი ხასიათის ნიმუშებით, რომლებიც თითქოს ერთ რკინისებურ ნებისყოფასა და ძალაუფლებას გამოხატავს.







**ბაროკო** მიწიერი ამქვეყნიური კეთილდღეობისა, ტკბობის და ფუფუნების სტილია. მისთვის დამახასიათებელია არქიტექტურის ქანდაკების, ფერწერისა და დეკორატიული ხელოვნების შერწყმა. გამოირჩევა საზეიმოდ მედიდური სიცოცხლისუნარიანი განწყობით. შუქ-ჩრდილის, ფერების, რეალობისა და ფანტაზიის შერწყმის გაბედული კონტრასტებით მომნუსხველ გავლენას ახდენს ადამიანზე.

## გოთური არქიტექტურა

გრანდიოზული, მაღალი, რომელიც ატყორცნილია ცაში თავისი დიდებულებით, გამოხატავს აღმაფრენასა და აღძრავს მისტიურ გრძნობებს. ის თითქოს საშუალებას აძლევს ტაძრებსა და ეკლესიებს, რომ სამოთხემდე მიაღწიონ.

ის ერთდროულად თვითდაჯერებულიცაა და ამასთანავე არა ამპარტავანი. კეთილია და ბუნებრივი, არ თამაშობს, არ გთრგუნავს არ გზღუდავს, პირიქით გაძლევს თავისუფლებასა და ზეცისკენ სწრაფვის განცდას. გოთური არქიტექტურა მეტად პოეტური და მეტად მელოდიურია.

გოთიკა, რომელიც თავდაპირველად არ მიიღო საზოგადოებამ დამაკნინებელ ტერმინად ითვლებოდა, როგორც გოთების არქიტექტურა, ადამიანების, რომლებმაც დაივიწყეს წესები. თუ ამ კუთხით გავიხსენებთ გოთების წარმოშობასა და შეხედულებებს ძალიან თვალსაჩინო ხდება იმდროინდელი ევროპული ახალგაზრდობის თავისუფლებისაკენ ლტოლვასა და გოთურ არქიტექტურას შორის მსგავსების ფენომენი.

ეს იყო ემოცია მიწიერი სამყაროსგან თავის დაღწევის, გათავისუფლების, სიმშვიდის მოთხოვნილების. ემოციამ, რომელიც გროვდებოდა საზოგადოებაში, შექმნა საოცრად ჰაეროვანი და საოცრად დიდებული არქიტექტურა. თითქოს არქიტექტურამ ზურგიდან ჩამოიხსნა მძიმე ტვირთი.



გოთურმა არქიტექტურამ შექმნა ემოციების მთელი კრებული და მიუხედავად ამისა იგი გასაოცარი უნარით ინარჩუნებს სიმშვიდის გრძნობას, გასაოცარი უნარით ახერხებს აგაღელვოს მისმა დიდებულმა ფასადებმა და დაგამშვიდოს მისმა ინტერიერმა.







## კლასიციზმი

კლასიციზმი აბსოლუტური მონარქიის იდეოლოგიის ფონზე წარმოიშვა. მისი მიზანია ანტიკური სამყაროს იდეალურ-ესთეტიკურ ეტალონებად, ნორმებად გამოცხადება, როგორც ჰარმონიის უბრალოების, სიმკაცრის, ლოგიკური სიმარტივისა და მონუმენტალობის ეტალონისა. გონება უპირისპირდება გრძნობას და მთავარ ადგილს იკავებს. კლასიციზმი ეძებს არა რეალობას ან გამოგონილს, არამედ დამაჯერებლობას, შესაძლებელსა და მისაღებს. კლასიციზმი განა მშვიდი, მწყობრი, ძლიერი და ზომიერად ოფიციალურია. კლასიციზმის ფსიქო-ემოციური მახასიათებლების გათვალისწინებით  უამრავმა საჯარო შენობამ გაითავისა ეს სტილი, რათა შენობისთვის ოფიციალურობისა და სიდიადის შეგრძნება მიეცათ. თუმცა კლასიციზმს არ ახასიათებს დამთრგუნავი ზემოქმედება ფსიქიკაზე. იგი უკარებაა, არ ჩაგიკრავს გულში, არ გიმღერებს და არ აგაფორიაქებს, მაგრამ ნდობას აღძრავს. ის არ ახდენს ძალის დემონსტრირებას, როგორც მჩაგვრელი, პირიქით გაგრძნობინებს, რომ მისი მხარდაჭერის იმედი შეიძლება გქონდეს.

**პოსტმოდერნი**

პოსტმოდერნი რომელსაც თავისუფლად შეიძლება მონოსპექტაკლი ვიწოდოთ, სავსეა ემოციებითა და მოგონებებით. ის სხვადასხვა ტიპის ადამიანს სხვა და სხვა ემოციას აღუძრავს,ერთთან მედიდურია, მეორესთან მეგობრული, ვისთან ბრწყინვალე და ვისტან სარკაზმით გაჟღენთილი. ის კარგი რეჟისორია და სპექტაკლს დგამს თითოეული მაყურებლისთვის ცალკ-ცალკე ჟანრში.

პოსტმოდერნი მართალი და კეთილსინდისიერია, ის მსახიობადაა შექმნილი და არაფერს მალავს, პირდაპირ განიშნებს, რომ მასში ნამდვილი არაფერია.



**ჰაი ტეკი**

ჰაი ტეკი ერთი შეხედვით გულწრფელია, თითქოს არაფერს მალავს. იგი როგორც ფსიქოემოციური ფენომენი მეტად საინტერესო და მიზანდასახულია. იგი თანაბარი ძალით მოქმედებს როგორც გარშემო მყოფებზე ისე მის სივრცეში მომუშავე, თუ მცხოვრებ ადამიანებზე.

ჰაი ტეკი მეტისმეტად გულგრილია, მატყუარაა და ერთნიშნა. ამ შენობების გამჭირვალე ფასადები, ერთი შეხედვით განცდას ტოვებს თითქოს არ არსებობს ბარიერი შენობასა და გარემოს შორის. თითქოს ადამიანს აძლევს თავისუფალ არჩევანს, რომ შეუძლია მარტივად გაარღვიოს ეს გამჭირვალე კედელი და თავისუფალი იყოს, ამასთანავე სთავაზობს მიზანს როგორც ალტერნატივას.

ჰაი ტეკის სტილის შენობები მიუთითებენ ადამიანებს რომ მთავარი საქმეა, არ თრგუნავენ საზოგადოებას.  თითქოს ამბობენ რომ ჩვენ გარემოს ნაწილი ვართ და ვიცვლებით გარემოს ცვლილების შესაბამისად, ეს ტენდენცია ნამდვილად წარმოადგენს ტანამედროვე ბიზნესის მთავარ ორიენტირს. ეს სტილი ადამიანებს კარნახობს რომ მთავარი საქმეა, ის ავალდებულებს თითოეულ ადამიანს კონცენტრაციას საქმეზე. ამ შენობის გამჭირვალე სახე, ნდობას აღძრავს საზოგადოებაში და თვითონვე წარმოადგენს ამა თუ იმ კომპანიის უზარმაზარ რეკლამას.





ჰაი ტეკში ჩადებულია ყველა ის სიტყვა, რომელიც შეიძლებოდა ეთქვა კომპანიას სარეკლამო რგოლში. ეს შენობები ნამდვილად მეტყველებენ და დემონსტრაციულად გამოხატავენ საქმიანი ადამიანების ცხოვრებისა და აზროვნების პრინციპებს: „ჩვენ მივისწრაფით მიზნისკენ, ჩვენ გვაქვს ძლიერი საყრდენი და ვერაფერი შეგვაჩერებს, ჩვენ არ გვცალია პირადი ცხოვრებისთვის, არაფერს ვმალავთ, ვაკეთებთ მხოლოდ ჩვენს საქმეს და ვაკეთებთ კარგად. ძნელია დაზუსტებით ითქვას ამ შენობებსა და საქმიანი საზოგადოების ღირებულებებს შორის რომელი იყო მიზეზი და რომელი შედეგი, თუმცა ფაქტია, რომ ასეთი სტილით დაკომპლექტებულ გარემოში საზოგადოება ძალიან ჰგავს არქიტექტურას.

## დეკონსტრუქტივიზმი

არამყარი, არასაიმედო, აგრესიულობამდე აქტიური და ისტერიულია. დეკონსტრუქტივიზმი ემოციური თვალსაზრისით ერთნიშნაა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გააკვირვოს, გააოცოს, მაგრამ მას არ შეუძლია გახადოს ადამიანი უფრო ბედნიერი, ან უფრო კეთილშობილი, მან შეიძლება ადამიანი შეაშფოთოს, მაგრამ არ შეუძლია ჩააფიქროს. ის ქაოსს ბადებს, სივრცეში და დაბნეულობას იწვევს ადამიანში, თითქოს სხვა ენაზე ლაპარაკობს განგებ რომ ვერ გაიგო, ის საოცრად არაკომუნიკაბელურია. მისი მისწრაფებაა იყოს განსხვავებული, ერთადერთი და ამოუცნობი. ის პრომიტიულია თავისი ქაოსით. მას არა აქვს ემოციური სიღრმეები, იმ წიგნს გავს რომელიც იმიტომაა გაყიდვადი, რომ კარგი ყდა აქვს.

დეკონსტრუქტივიზმი თავისი ასოციაციური იერის გამო ხშირად იმ ერთადერთ ღირებულებასაც კარგავს, ინდივიდუალურობაში რომ შეიძლება ჩავუთვალოთ.











## დასკვნა

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ არქიტექტურული სტილი, თავისი წარმოშობის მიზეზებითა და ნიშნებით. მათ უამრავ განმასხვავებელ ნიშანთაგან გამოვარჩიეთ ფსიქოემოციური ხასიათი. რადგანაც ყველა არქიტექტურული სტილის ჩამოყალიბებას თავისი წინაპირობა ჰქონდა, როგორც ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, ან ტექნოლოგიური, ასევე ფსიქო-ემოციური. სტილებს არ ქმნიდა მხოლოდ ხელისუფლების ინტერესები, სტილების ჩამოყალიბებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა ემოციური ფონი, რომელიც საზოგადოებაში მწიფდებოდა, იზრდებოდა და საბოლოო გამოხატულებას ჰპოვებდა ხელოვნებაში.

არქიტექტურა საზოგადოების ემოციური მდგომარეობის საუკეთესო შემფასებელია, შესაბამისად კარგი მემატიანეა.

უმიზეზოდ არაფერი ხდება, თითოეულ დეტალს აქვს მიზეზი და მიზანი ხელოვნებაში, განსაკუთრებით კი არქიტექტურაში.

არქიტექტურა, როგორც ერთ ნაწარმოებში თავმოყრილი ხელოვნების ყველა დარგი, როგორც ერთ წამში გაყინული წარსული აწმყო და მომავალი, იბადება ემოციებით და საუკუნეების განმავლობაში ინახავს და გადასცემს ამ ემოციებს კაცობრიობას.

## ბიბლიოგრაფია


Herbert Pothorn “Architectural Styles”, Published by Phaidon, 1983

Hasan-Uddin Khan “International Style”, Published by Taschen, 2001

Xavier Barral “The Romanesque”, Published by Taschen, 1998

Vitorio Magnago, Lampugnani “Encyclopedia of 20th Century Architecture”, Published by Harry N. Abrams, 1986

http://high-tech-architecture.blogspot.com/2011/01/characteristics.html

http://www.exploring-castles.com/characteristics_of_gothic_architecture.html#.UouBVcRmh8E

http://www.ukessays.com/essays/architecture/baroque-architecture-characteristics.php

http://www.ukessays.co.uk/essays/architecture/postmodern-architecture.php

http://mlj.com.my/deconstructivism-in-architecture.html

http://arc612.wordpress.com/2012/11/25/deconstructivism-beyond-the-architectural-borders/

http://www.acrwebsite.org/search/view-conference-proceedings.aspx?Id=11634

http://www.wisegeek.com/what-is-classical-architecture.htm#